საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთაწმინდის ქედი

მთაწმინდის ქედი, თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოება, რომელიც იწყება უშუალოდ ქალაქიდან (სოლოლაკი) და დას-ით უერთდება კოჯრის ქედს. მის უკიდურეს დას. ნაწილში აღმართულია უძოს მთა (1416 *მ*), ხოლო აღმ. დაბოლოებაზე - მთაწმინდა (720 *მ*). მ. ქ. აგებულია ზედაეოცენური თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით, აგრეთვე შუაეოცენური ანდეზიტური ტუფ-ბრექჩიებით. თხემი მობრტყელებულია და პლატოსებრ ზედაპირს ქმნის. ქედის ჩრდ. კალთა დანაწევრებულია ხრამებით და ეშვება მდ. ვერის ხეობისკენ, სამხრ-ით თანდათან გადადის წავკის-ოქროყანის ვაკეზე. შემოსილია მეორეული ტყე-ბუჩქნარითა და ხელოვნური ტყით.

მ. ქ-ის ჩრდ. ფერდობზე მდებარეობს კუს ტბა და გ. ჩიტაიას სახ. ქართ. ხალხ. ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწ. მუზეუმი (მუზეუმი ღია ცის ქვეშ).